ხელშეკრულება №122
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი

21 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, **სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“** (შემდგომში - ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის **ანა კვარაცხელიას** სახით (**მის:** ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18; **ტელ:** 2960010; **ს/კ:** 204582763; **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900)

მეორეს მხრივ, **შპს „იმპორტ ლაინი“** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი წარმომადგენლის **კახა სამარღანიშვილის** სახით (**მის:** თბილისი, ხოშარაულის №19; **ს/კ:** 400133672; **საბანკო რეკვიზიტები:** სს „პროკრედიტ ბანკი”, კოდი: MIBGGE22 ა/ა GE55PC0133600100061901),

”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (ო/კოდი 24010301) 2016 წლის დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ცხრილში მოცემული სხვადასხვა ავტონაწილების შესყიდვა (შემდგომში - საქონელი):

საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
ჩაქუჩი (CPV44512300)	1 ცალი	11,50	11,50
რეზინის ჩაქუჩი (CPV44512300)	1 ცალი	2,50	2,50
წებოვანი ლენტი, ორმხრივი 50X5 (CPV44424200)	1 ცალი	4,40	4,40
პლასმასის სამაგრი, „ხამუტი“ 4,8X350 (CPV44530000)	1 ცალი	7,50	7,50
კარის საკეტის მექანიზმი (CPV 44521110)	2 კომპლექტი	24	48
წებო 200 მლ (CPV 24910000)	1 ცალი	6	6
სილიკონის წებო (CPV 24951120)	1 კომპლექტი	7,80	7,80
სილიკონის წებო მექანიზმით (CPV 24951120)	1 ცალი	4	4

1.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.
1.3. საქონლის მიწოდების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით და შეადგენს 91.70 (ოთხმოცდათერთმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარს.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

3. მიღება-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, ინვოსის, მიღება ჩაბარების აქტის და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (არსებობის შემთხვევაში), მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
3.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მომწერი პირია სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ოფის მენეჯერი გიგა ხარჩილავა, რომელიც არ იმყოფება ”მიმწოდებელთან” ინტერესთა კონფლიქტში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სხვა პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს 2016 წლის 24 ნოემბრისა.
4.2. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

5. მხარეთა რეკვიზიტები

”შემსყიდველი”
სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“
დირექტორი

ანა კვარაცხელია

”მიმწოდებელი”
შპს „იმპორტ ლაინი“
წარმომადგენელი

კახა სამარღანიშვილი